# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

1 თებერვალი ხუთშაბათი
2024 წელი
№5 (9319)
ფასი 40 თეთრი


## საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს



ირაკლი ღარიბაშვილს ირაკლი კობახიძე შეცვლის.

ტელეკომპანიის ცნობით, შესაბამისი გადაწყვეტილება „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს 24 იანვარს გამართულ სხდომაზე მიიღეს, რომელიც 1-ელ თებერვალს გასაჯაროვდება.

როგორც „იმედი“ იუწყება, 1-ელ თებერვალს „ქართული ოცნების“ პარტიული ყრილობის გამართვა იგეგმება.

-ჩვენი ინფორმაციით, პარტიის მოქმედი თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე პრემიერ-მინისტრის პოსტზე იქნება წარდგენილი, ხოლო მოქმედი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებს.

გარდა ამისა, ირაკლი კობახიძე, ასევე, დაიკავებს პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნის პოსტს, - აცხადებს „იმედი“.

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა



2024 წლის 26 იანვარს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.

დეპუტატებმა ცვლილებები შეიტანეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში, „ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

ერთხმად დაამტკიცეს ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები.

ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 22 ივლისის №77 დადგენილებაში.

ასევე ცვლილებები შევიდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №53 დადგენილებაში.

დეპუტატებმა თანხმობა მისცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემასთან დაკავშირებით.

ძალადაკარგულად გამოცხადდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 ნოემბრის (№78 03) და 2020 წლის 02 მარტის (№8 03) განკარგულებები.

ცვლილებები შეიტანეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის გ-17.17213586) განკარგულებაში.

მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავით ზაალიშვილის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

ასევე მოისმინეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მაკა მანჯავიძის ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

## გულწრფელი მადლობა ყველას, ვინც წვლილი შეიტანა გაზეთ „ბორჯომის“ გადარჩენაში

**გაზეთ „ბორჯომის“ მკითხველებმა და ბორჯომის საზოგადოებამ კარგად იცის ის გასაჭირი, რაც 2023 წელს გადაიტანა გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის კოლექტივმა. აღარ ვაპირებთ იმ ავადსახსენებელი პერიოდის გახსენებას, რაც მთელი წლის მანძილზე განვიცადეთ.**

ნათქვამია, დიდ გასაჭირს კეთილი დასასრული აქვსო. ჩვენმა ბრძოლამ, საქმის სიყვარულმა და მიზნის სიცხადემ გაგვამარჯვებინა.

არაერთხელ გამოვაქვეყნეთ იმ კეთილი ადამიანების გვარები, რომლებმაც ჩვენი გასაჭირი გაიზიარეს და ფინანსურად გვერდში დაგვიდგნენ და დაგვეხმარნენ. ახლა შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შესახებ, რაც გადავიტანეთ. არ გვქონდა, არც გაზეთის დასაბეჭდი და არც სახელფასო თანხა, გაჭირვებით ვიხდიდით კომუნალურ გადასახადებს (დენი, გაზი, წყალი, ინტერნეტი და ა.შ.).

კეთილი ადამიანების იმედად ვიყავით და გაგვიმართლა, რომ ამ კეთილმა ადამიანებმა არ გვიღალატეს, სიტყვა საქმედ აქციეს და მოცემული პირობა პირნათლად შეასრულეს. უმადური უნდა იყოს ადამიანი, ვერ დაინახო მათი სიკეთე. ვერაფრით წარმოვიდგენდით, თუ ამდენი მხარდამჭერი, გვერდში მდგომი და ჭირისუფალი ყავდა ჩვენ პატარა გაზეთს, თურმე როგორ ყვარებიათ ბორჯომელ ხელმომწერლებს ჩვენი გაზეთი?! ყველგან, სადაც მივდიოდით „მეროჭიკე მღვდლებივით“, გვეუბნებოდნენ, - როგორ შეიძლება ჩვენი ქალაქის ისტორიის მემატიანე „ბორჯომი“ დაიხუროსო. ნუ გეშინიათ, თქვენს გვერდით გვიგულეთო... და დღეს სიხარულის ცრემლი არ შრება ჩვენს თვალებზე იმ დიდი გამარჯვებისათვის, რასაც რედაქციის მცირერიცხოვანმა კოლექტივმა შეძლო მთელი წლის მანძილზე. **გვინდა, იცოდეთ, რომ არა პროფესიის, მშობლიური ქალაქის და ბორჯომელების დიდი სიყვარული, ალბათ, გაზეთი დაიხურებოდა. წლის დასაწყისში რედაქციას გამოაკლდა რამდენიმე ჟურნალისტი. სარედაქციო მუშაობის მთელი სიმძიმე სამმა ჟურნალისტმა და კომპიუტერის ერთმა ოპერატორმა იტვირთა. გვინდა იცოდეთ ისიც, რომ წლის მანძილზე რედაქციაში მხოლოდ ოთხჯერ გაიცა ხელფასი (საშუალოდ თითოეულზე 250-300 ლარი).**

განვლილი წელი რედაქციის კოლექტივისათვის „ჯოჯოხეთია გასახსენებლად“. ყველაფრის მიუხედავად ნამდვილად ვგრძნობდით ბორჯომელთა დიდ თანაგრძნობას და პატივისცემას. სწორედ ამ ადამიანების დიდმა თანადგომამ, რედაქციისადმი აღმოჩენილმა ფინანსურმა დახმარებამ გადაარჩინა გაზეთი „ბორჯომი“.

დღეს, როდესაც დადებითად გადაწყდა გაზეთ „ბორჯომის“ გადარჩენის საკითხი, გვინდა კიდევ ერთხელ გულწრფელი მადლობა მოვახსენოთ იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს და კერძო პირებს, რომლებმაც ფინანსური დახმარება აღმოგვიჩინეს და გაზეთი გადაარჩინეს დახურვას.

**ღირსეულ შემომწირველთა და მეცენატთა შორის არიან კომპანია ბორჯომის №1 ჩამომსხმელი ქარხანა (დირექტორი მერაბ ახმეტელი);**

**შ.პ.ს. „მშენებელი-2012“ (დირექტორი ვახტანგ კაპანაძე);**

**საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (რევაზ მახვილაძე);**

**შ.პ.ს. „სატახა“ დირექტორი (თეიმურაზ სტეფნაძე);**

**სასტუმრო „ქრაუნ პლაზა“ (დირექტორი ირმა კალანდაძე);**

**ბაკურიანის სასტუმრო „აპოლონი“ (დირექტორი ოთარ გოცირიძე);**

**ბორჯომის ავტოსადგურის კოლექტივი (დირექტორი ჯუმბერ ხიჯაკაძე);**

**ბაკურიანის განვითარების სააგენტო (დირექტორი ეკა ორჯონიკიძე);**

**ბორჯომის აგრობაზარი (დირექტორი გოგი მელიქიძე);**

**ბაკურიანის „ჰოტელ მენეჯმენტ გრუპი“ (დირექტორი ვლადიმერ სტეფანიანი);**

**ბაკურიანის „არქტური“ (დირექტორი ლაშა გოგოლაძე);**

**ბაკურიანის „ჰუსეინ სიმენი (დირექტორი ზაზა სარალიძე);**

**ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის თავმჯდომარე ზაურ ლაზარაშვილი;**

**გაზეთ „ბორჯომის“ დიდი გულშემატკივრები, პენსიონერები ვაჟა რევაზიშვილი, ვალერი გოგოლაძე, ნოდარ ნოზაძე, თბილისელი ნათელა ლომიძე, ნანული დევიძე და მრავალი სხვა, ყველას ჩამოთვლა უბრალოდ შეუძლებელია.**

**ფასდაუდებელია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელების ოთარ არბოლიშვილის და დავით ზაალიშვილის, მერიის და საკრებულოს ცალკეული სამსახურების საქმიანი და ყურადღებიანი დამოკიდებულება რედაქციის კოლექტივისადმი, რომლებიც ჩვენზე ნაკლებად არ განიცდიდნენ და ზრუნავდნენ საუკუნეს მიტანებული გაზეთის გადარჩენისათვის.**

მადლობა ყველას, ვინც მცირეოდენი წვლილი შეიტანა გაზეთ „ბორჯომის“ გადარჩენისათვის. რედაქციის ჟურნალისტები მომავალშიც ღირსეულ წვლილს შეიტანენ მოსახლეობის ობიექტური ინფორმაციის მიწოდებაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის წინსვლის განვითარებაში.

გულწრფელი მადლობა ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელობას (დირექტორი **ნაირა ამანათაშვილი**), რომელმაც შეიფარა თავისი „ქოგის ქვეშ“ გაზეთი „ბორჯომი“.

კიდევ ერთხელ მადლობა ყველას ვინც ღირსეული წვლილი შეიტანა გაზეთ „ბორჯომის“ გადარჩენის და შემდგომი განვითარების საქმეში.

**გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის კოლექტივი.**

## სალოტბარო სკოლების დიდი ეროვნული მიზანი

**კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სალოტბარო სკოლების პედაგოგებს შეხვდა. შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის ცენტრის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა და მას ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი დონაძე და ხელმძღვანელის მოადგილე გიორგი გაბუნია ესწრებოდნენ.**

მინისტრმა საქართველოში მოქმედი სალოტბარო სკოლების 65 პედაგოგთან, მათ შორის, ლოტბარებსა და რეგენტებთან ერთად განიხილა სკოლებისა და პედაგოგების გეგმები, მოისმინა მათი საჭიროებები, განიხილეს ახალი პროექტებისა და ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობები.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეგიდით, საქართველოს 31 სალოტბარო სკოლა ფუნქციონირებს, სადაც უსასყიდლოდ არის შესაძლებელი ქართული მრავალხმიანი სიმღერებისა და საკრავებზე დაკვრის შესწავლა. სალოტბარო სკოლების შექმნას ქართველმა მოღვაწემ, ანზორ ერქომაიშვილმა ჩაუყარა საფუძველი.

კულტურის სამინისტროსთვის ქართული ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოს კულტურის მინისტრი **თეა წულუკიანი** შარშან ესტუმრა მესტიის, ლენტეხის, ამბროლაურის, ონის, ზესტაფონის, ხონის, ბორჯომის, ახალციხის, დუშეთის, სამტრედიის, ოზურგეთის, ბაღდათის, ვანის, აბაშის, სენაკის, ზუგდიდისა და წალენჯიხის სალოტბარო სკოლებს, რის შედეგადაც, თბილისში შემაჯამებელი შეხვედრის მოწყობა გადაწყდა.

აქტუალური ინტერვიუ

# საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საპასუხისმგებლო ამოცანები

**მოსახლეობის ჯანდაცვის პრობლემებზე არაერთხელ დაგვიწერია, არც ამ სფეროში დასაქმებული მედიცინის დარგის გამორჩეული ადამიანებისათვის მოგვიკლია ხოტბა-დიდება და არც სამედიცინო დაწესებულებებში, განსაკუთრებით „ჯეოჰოსპიტალსში“ არსებულ პრობლემებზე დაგვიხუჭავს თვალი. გვახარებს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ სოციალურად დაუცველ ადამიანების მიმართ გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღებიანობა. სასიხარულოა, რომ ბორჯომის ხელისუფლება წლიდან წლამდე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შშმ პირებს, სოციალურად დაუცველებს, მრავალშვილიანებს, პენსიონერებს, მათი საჭიროებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტი ითვალისწინებს, როგორც სტაციონალურ მკურნალობას, ასევე აფინანსებს მედიკამენტებს. ეს კი დიდი შეღავათია გაჭირვებაში მცხოვრები ადამიანებისათვის.**

**დღეს გთავაზობთ ინტერვიუს ა.ა.ი.პ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელთან ქალბატონ მანანა რატიანთან, რომელიც ათეული წელია ამ მეტად საპასუხისმგებლო დაწესებულებას მაღალი პასუხისმგებლობით და საქმის ცოდნით უძღვება.**



**● ქალბატონო მანანა, თქვენ დიდი ხანია არ შეხვედრიხართ ჩვენი გაზეთის მკითხველებს, იქნებ, მოკლედ განმარტოთ, რას წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვა, რა მიზნები და მოვალეობები აკისრია ამ მეტად მნიშვნელოვან ორგანიზაციას?**

– საზოგადოებრივი ჯანდაცვა არის სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემა, რომელთა მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება, აღდგენა, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლის, კონტროლის, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების გზით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა აგრეთვე არის იმ აქტივობების ერთობლიობა, რომელთა მიზანია არა მხოლოდ პრევენციული და სამკურნალო სერვისების, არამედ იმ პროგრამების ორგანიზება, რომელიც ჯანდაცვის სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფადაა საჭირო.

ყველა ამ ფუნქციის განსახორციელებლად შექმნილია ა.ა.ი.პ. ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი, რომლის როლი მნიშვნელოვანია აღნიშნული მიზნების განხორციელებაში. იგი წარმოადგენს სახელმწიფო ვალდებულებათა განმახორციელებელ ერთადერთ რგოლს მუნიციპალიტეტში, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე.

**● კონკრეტულად, რა პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს თქვენი დაწესებულება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე?**

– ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მუნიციპალიტეტის ტერიატორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების ფარგლებში ახორციელებს მუნიციპალურ პროგრამებს, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობის კონტროლის ღონისძიებებს, პირველად ეპიდკვლევას, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვას, განხორციელებას, შედეგების შეფასებას. საჭიროების შემთხვევაში ინფექციურ დაავადებათა დადასტურების მიზნით ლაბორატორიული სინჯების აღების ორგანიზებას, საჭიროების შემთხვევაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ინფორმირებას. ასეთი მუშაობის შედეგი განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა „კოვიდ 19-ის“ პანდემიის მართვისას ბორჯომის მუნიციპალიტეტში. უმნიშვნელოვანესია სჯდ ცენტრის როლი ანტირაბიული საქმიანობის პროცესში, რადგან ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში ფიქსირდება ცხოველთა მიერ (ძაღლი, კატა და სხვა) ადამიანთა დაკბენის 400-500 შემთხვევა.

ცენტრი ცოფის პრევენციის მიზნით ახორციელებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ანტირაბიული დახმარების უწყვეტ მონიტორინგს, ეპიდმეთვალყურეობას, ასაცრელი მასალით (ვაქცინა, იმონოგლობულინი) სამედიცინო დაწესებულებების მომარაგებას. 2023 წელს მიეწოდათ 35 762 ლარის ღირებულების ასაცრელი მასალა. ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ანტირაბიული დახმარება ხორციელდება შპს „ჯეოჰოსპიტალს“-ის ბორჯომის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრში“, ასევე შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი - ბაკურიანი“ ანტირაბიული სამედიცინო დახმარების კაბინეტებში.

ანტირაბიული სამედიცინო დახმარების პროცესში აქტიურად ვთანამშრომლობთ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიორალური სამმართველოს სპეციალისტთან დამკბენ ცხოველთა 10-დღიანი სავალდებულო დაკვირვების მიზნით, ხოლო ცხოველთა ყოფით დასნებოვნების შემთხვევაში ვახორციელებთ ერთობლივ ღონისძიებებს. ყველა ამ პრევენციული ღონისძიების შედეგია ის, რომ ცოფით დაავადების შემთხვევები ადამიანთა შორის არ დაფიქსირებულა მუნიციპალიტეტში 1999 წლის შემდეგ.

ცენტრი ასევე აწარმოებს სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა, მათ შორის ტუბერკულოზის, აივ-შიდსის, „C“ და „B“ ჰეპატიტის. გრიპის, განსაკუთრებით საშიში ინფექციების, ასევე არაგადამდები და ვაქცინაციით მართვადი ინფექციების ეპიდზედამხედველობას, აღრიცხვას, ანალიზს. ვხელმძღვანელობთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმიურ და ეპიდჩვენებით გათვალისწინებულ იმუნიზაციის პროცესებს, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის“ ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

**● გარდა გადამდებ და არაგადამდებ ეპიდზედამხედველობისა, კიდევ რა ღონისძიებების განხორციელება გევალებათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდუსაფრთხოების მიზნით?**

ცენტრს ასევე ევალება ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების (ქალთა და მამაკაცთა სალონები) განმახორციელებელთა მიერ სანიტარული ნორმების დაცვის მონიტორინგი.

ცენტრი მონაწილეობს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო, სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის პროცესში.

საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის შეფასება ხდება ქვეყანაში არსებული ნორმატიული აქტებით, რეგლამენტით, უწყებრივი ბრძანებებით.

**● როგორია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების ჩართულობა სამედიცინო პროფილაქტიკურ პროგრამებში?**

– მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებები მონაწილეობენ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული პროგრამების შესრულებაში, თუმცა გასაუმჯობესებელია ამ პროგრამებთან მიმართებაში, როგორც სამედიცინო დაწესებულებების, ასევე საექიმო უბნების პასუხისმგებლობა.

სამედიცინო დაწესებულებები ასევე ახორციელებენ „კოვიდ-19“-ს, „C“ ჰეპატიტის, აივინფექცია/შიდსის სკრინინგს. მაგალითად 2023 წელს ცენტრის მიერ მიეწოდათ 9800 ლარის საკვლევი მასალა, ჩატარებულია 9500-მდე კვლევა, ინტეგრირებული სკრინინგის („C“ ჰეპატიტი, აივინფექცია/შიდსის, ტუბერკულოზი) ჩატარებულია 1600 კვლევა.

მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებები, საექიმო უბნები ასევე მონაწილეობენ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის შესრულებაში, 2023 წელს გეგმიური იმუნიზაციით შესასრულებლად მიეწოდათ 80000 ლარამდე ღირებულების ვაქცინა და სახარჯი მასალა.

ყოველ წელიწადს აღინიშნება სხვასხვა სეზონური ვირუსული ინფექციების მატება, მათ შორის „კოვიდ 19-ის“, რომელიც სეზონური ვირუსი გახდა.

2023-24 წელს გრიპის სეზონური ვაქცინაციისათვის მოწოდებულია 1820 დოზა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, ჩატარებულია 1640-მდე აცრა, ვაქცინაციის პროცესში ჩართვა შეუძლია ზრდასრული მოსახლეობის ყველა ფენას, მათ შორის ბავშვებს.

ამრიგად, საზოგადოებრივი ჯანდაცვა არის სახელმწიფო ვალდებულებათა სისტემა, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანია სამედიცინო საქმიანობაში ჩართული საექიმო უბნების, სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც ხდება ამ დაწესებულებათა, საექიმო უბნების მუშაობის ხელშეწყობა, უწყებრივი საკანონმდებლო ინფორმაციის მიწოდება, ყველა საჭირო მარეგულირებელი თუ მეთოდური სახის დოკუმენტების გაზიარება, როგორც ელექტრონულად, ასევე ტრენინგების მეშვეობით.

ააიპ ბორჯომის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიდემიის შესაძლო გავრცელების აღკვეთის, შემთხვევათა გამოვლენის, ეპიდსიტუაციის ზოგადი მონიტორინგის, სწრაფი და ადექვატური რეაგირების, ინფორმირების და სიტუაციის მართვის მიზნით წლის განმავლობაში სისტემატურად აწარმოებდა სხვადასხვა აქტივობებს, რაშიც მუდმივად ვგრძნობდით, როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობის, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ცენტრის, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მხარდაჭერას.

**გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.**

**ესაუბრა ვალერიან ლომიძე**

## იგეგმება ცვლილების შეტანა ზოგადი განათლების სისტემაში

**X–XI კლასებში მოსწავლეები შესაძლოა, პროფილურ სწავლებაზე გადავიდნენ. შესაბამისი ცვლილების შეტანა ზოგადი განათლების სისტემის სტანდარტში იგეგმება, რომელზეც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის კონსულტანტმა ზოგადი განათლების საკითხებში გია მურღულიამ განაცხადა, საორიენტაციოდ იქნება სამი ძირითადი პროფილი: საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და მათემატიკური.**



მისივე თქმით, პროფილური სწავლება, თავდაპირველად, 50-მდე სკოლაში, პილოტირების რეჟიმში, შესაძლოა, მომდევნო სასწავლო წლიდან დაიწყოს.

- სკოლის მესამე საფეხურზე, შესაძლოა, შემოვიდეს პროფილური განათლება. რაღაც მიმართულებით სწავლობთ სტანდარტულად, რაღაც მიმართულებით შეგიძლიათ გაღრმავებულად ისწავლოთ. მაგალითად: ვისაც აინტერესებს საბუნებისმეტყველო საგნები, შედარებით ნაკლებ ყურადღებას დაუთმობს ჰუმანიტარულ საგნებს, მაგრამ ზოგადი განათლების პრინციპი მოითხოვს, რომ ამ ტიპის განათლებაც ჰქონდეს. აქ შედარებით დაბალი მოთხოვნების სტანდარტი შეიძლება დაიდოს, გაღრმავებული სწავლების დროს ეს სტანდარტი უფრო მეტს მოითხოვს. ცალკეულ სკოლაში ამის მაგალითები გვაქვს, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ ზოგადად სისტემაზე. სკოლაში არის 3 საფეხური: **1. დაწყებითი (პირველი-მეექვსე კლასები), 2. საბაზისო (მეშვიდე-მეცხრე კლასები) და 3. სრული საშუალო (მეათე-მეთორმეტე კლასები). შესაძლოა, მესამე საფეხურზე ორი სტანდარტი (ჩვეულებრივი და გაღრმავებული) დაგვჭირდეს, ამაზეც მიდის საუბარი.** პროფილური განათლება დღის წესრიგში დგას სერიოზულად. საორიენტაციოდ (ტრადიციულად ასე იყო), იქნება სამი ძირითადი პროფილი: საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული და მათემატიკური (თუმცა, სკოლის ორგანიზაციული, ინფრასტრუქტურული და საკადრო შესაძლებლობის კვალობაზე, ალბათ, არც სხვა პროფილები უნდა შეიზღუდოს). თუ მე ჰუმანიტარულზე ვსწავლობ, გაძლიერებულად ვისწავლი ლიტერატურას, ისტორიას, ხელოვნებას, შეიძლება ფილოსოფიას, სხვა საგნებსაც ვისწავლი, მაგრამ ნაკლები მოთხოვნით (ანუ - „ჩვეულებრივი“ სტანდარტით). პირველ ეტაპზე, სადღაც 50 სკოლამდეა, რომლებშიც საპილოტე რეჟიმში „მოითელება“ შესაბამისი პროგრამები. ამ სისტემის პილოტირება შესაძლოა, ახალი სასწავლო წლიდან დაიწყოს, - განაცხადა **მურღულიამ.**

## მეტი სიფრთხილეა საჭირო

**მთელი ზაფხულის მანძილზე ბორჯომის მოსახლეობას ქალაქის ცენტრში საფრთხის წინაშე გვიწევდა გადასასვლელებზე მოძრაობა. განსაკუთრებით მებრალებოდნენ ტრაილერების გაუთავებელი მოძრაობის შიშის თვალებით შემყურე ადამიანები. რამდენჯერ მინახავს გაჩერებული ტრაილერის წინ წარმოდგენით არსებულ ზებრა გადასავლელთან მდგარი შეშინებული ქვეითი იმის ფიქრით, რომ ვაი და მის უკან სიჩქარით მომავალი სხვა მანქანა არ გამოქცეულიყო და არ დაჯახებოდა. ლანძღვა-გინებასაც შევსწრებივარ ბევრჯერ და არც თუ უსაფუძვლოს.**



თუმცა, ზაფხული გავიდა, ზებრა გადასავლელებიც დაიხაზა, მაგრამ ხალხის დაუდევრობას მაინც საზღვარი არ აქვს. სამწუხაროდ, ბევრჯერ მინახავს №1 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე და ქალაქის ცენტრში სისწრაფით მომავალი მანქანა, რომლის მძღოლმა, ალბათ, თვითონაც არ იცოდა, რომ სკოლაში ბავშვები სწავლობენ, რომლებიც ხშირად მარტო გადაადგილდებიან. მძღოლებს კი სად ან ვისთან მიეჩქარებათ ნეტავ? ალბათ ამ ადამიანებს ავარიების ყოველდღიური სტატისტიკაც კი არ უნახავთ და მათ არც საკუთარი თავი უყვართ და არც სხვა. ყველა მძღოლის ვალდებულებაა რომ კიდევ მეტი წინდახედულება გამოიჩინოს სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან. ჯერ ისედაც პრობლემურ მონაკვეთს წარმოადგენს ბორჯომი-ახალციხის გზა, სადაც ტრაილერებმა არც კი უნდა იმოძრაონ, მაგრამ შემოვლითი გზის ალტერნატივაც რომ არსაიდან არ არსებობს, ხომ შეიძლება, რომ თვითონ იქონიოს ყველა მძღოლმა იმის შეგნება, რომ მოუფრთხილდეს საკუთარ თავს და სხვის სიცოცხლესაც. რამდენიმე თვის წინ შემთხვევა მქონდა, როდესაც საკმაოდ გვიან მოგვიწია მანქანით მუნიციპალიტეტის მიმდებარედ არსებულ ზებრა გადასასვლელის წინ მოძრაობა, სადაც რამდენიმე მოზარდი გადადიოდა, რომლებიც დაახლოებით 15 წლამდე იქნებოდნენ. როდესაც ჩემმა მეუღლემ მანქანა გააჩერა, რომ ქვეითები გადასულიყვნენ, საპირისპირო მხრიდან მომავალმა ტრაილერმაც გააჩერა, დაამუხრუჭა, იმ იმედით, რომ ქვეითები უსაფრთხოდ გადასულიყვნენ. რა თქმა უნდა, გაჩერდა ზებრა გადასასვლელის კიდესთან, თუმცა შუა ზებრაზე გადმოსული მოზარდები უკანვე გაბრუნდნენ. ტრაილერის მძღოლის სახე ახლაც არ მავიწყდება, გაკვირვებული რომ იყურებოდა, რა ექნა, არ იცოდა, იძულებული გახდა დაეძრა მანქანა და წასულიყო. ჩვენ კი რამდენიმე წამით ისევ შევჩერდით, რომ ვაი და უცებ ისევ არ მობრუნებულიყვნენ.

ამ ყველაფრით იმის თქმა მინდა, რომ მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ქვეითებსაც ევალებათ იცოდნენ საგზაო მოძრაობის წესები, რომ ფრთხილად და რაც მთავარია, გააზრებულად იმოძრაონ. ეს ყოველივე კი იმას ნიშნავს, რომ არც საკუთარ თავს შეუქმნათ საფრთხე და არც სხვებს. ხომ გაგიგიათ, „მოჩქარეს დაუგვიანდაო“? ჰოდა, როდესაც შენი სიჩქარით არც საკუთარ თავს ინდობ და არც სხვას, ეს არის საშინელება. მეტი სიფრთხილე და კიდევ უფრო მეტი ყურადღება გვჭირდება.

**ნატო მელიქიძე**

### ფარმაცევტის დედობრივი მზრუნველობა

# ადამიანს ნდობა უპირობოდ უნდა გაუმართლო

**ჩვენ გვერდით ხშირად ისეთ ადამიანებს აღმოვაჩენთ ხოლმე, რომ მათი საუბარი და მსჯელობა მაშინვე ყურადღებას იქცევს. სწორედ, ამ მოტივით მიიქცია ჩემი ყურადღება დღევანდელმა ჩვენი წერილის რესპონდენტმა, რომელიც 3 შვილის დედაა და სულ ცოტა ხნის წინათ მისთვის საყვარელი სპეციალობით მუშაობაც დაიწყო. სიურპრიზი იყო, როდესაც იგი აფთიაქში წამლების შეძენისას შევნიშნე. ქეთი გელაშვილს თეთრი ხალათი განსაკუთრებულად უხდებოდა. „ავერსის" აფთიაქში თბილი და მზრუნველი ღიმილით შემხვდა. მაშინ გადავწყვიტე, რომ ქეთიზე აუცილებლად უნდა დამეწერა. ინტერვიუს ჩასაწერად თანხმობისათვის ბევრი ვესაუბრე. მისი თავმდაბლობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა.**

**ქეთი ინტერვიუზე დამთანხმდა. ჩვენ კი მზად ვართ სამი შვილის დედის, ფარმაცევტის დღესა და ემოციებზე დიდხანს ვისაუბროთ, თუ როგორ საქართველოში ისურვებდა ეცხოვრათ მის შვილებს - 10 წლის ბარბარეს, 8 წლის ანდრიასა და 4 წლის ნანიკოს.**

- ოჯახთან ერთად ვისურვებდი ისეთ სამშობლოში ცხოვრებას, სადაც უფრო მეტი პერსპექტივა ექნებათ ადამიანებს თავის დასამკვიდრებლად.

12 წლის წინათ ნოდარ შოთაშვილთან ერთად ოჯახი შექმნა.

- ახლაც ის 17 წლის პატარა გოგო ვარ, ისევ... თუმცა ერთად ყოფნის 12 წელსაც არ უხდება ხუმრობა!

რამდენჯერმე გითხარი: „როცა შენი ცოლი დამერქვა, მაშინ შენ უფრო ძალიან გიყვარდი და ახლა პირიქით, მე უფრო გამოვხატავ-მეთქი". კი ბრაზდები, მაგრამ მართლა ასე ვფიქრობ, კიდევ ბევრი წლები მოგვეტოვოს უკან. მიყვარხარ...

ასე მიულოცა ქეთიმ მეუღლეს თანაცხოვრების 12 წელი.

ფარმაცია გახლდათ ერთ-ერთი სფერო, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ქეთის ძალიან მოსწონდა. თვლის, რომ სწავლა არასოდეს არის გვიან და საკუთარი თავის განვითარების სურვილი, ნებისმიერ პროფესიაში ძალიან დიდი მიზანდასუხულობაა.

● **როდესაც პროფესიით მუშაობა დაიწყე, მოგვიყევი პირველი ემოციის შესახებ?**

- პირველი ემოცია, რაც ვიგრძენი, იყო პასუხისმგებლობა და სიმართლე გითხრათ ცოტა შიშიც.

როდესაც ადამიანი გიზიარებს თავის დარდს და სატკივარს, ამით შენს მიმართ ამჟღავნებს დიდ ნდობას და ეს ნდობა უპირობოდ უნდა გაუმართლო. იყო ფარმაცევტი უდიდესი პასუხისმგებლობაა და მოითხოვს ძალიან დიდ დაკვირვებას.

სამუშაო სივრცე არის მეორე ოჯახივით, სადაც დროის დიდი ნაწილის გატარება გიწევს და ძალიან დიდი როლი აქვს კოლეგიალურობას და კეთილ განწყობას, რისთვისაც დიდი მადლობა „ავერსის" გუნდს.

● **დედის რჩევა, რომელსაც შვილებს ხშირად უმეორებ?**

- ჯადოსნური სიტყვები მაქვს, „მთავარია მონდომო, ყველაფერი გამოგივა, იმიტომ რომ შეგიძლია! ხშირად ვუმეორებ ჩემ პატარებს.

● **თვისება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნია ჰქონდეს დღეს ადამიანს?**

- პირველ რიგში სამართლიანობა.

● **როგორ უზრუნველყოფ შვილების ღირსეულ პიროვნებებად აღზრდას? რას თვლი სწორ მიდგომად?**

- ბავშვებთან სწორი მიდგომა მგონია, ესაუბრო მათივე ასაკის შესაბამისად. ჯერ მე ვხდები თითოეულის ასაკის და მერე ვცდილობ, ისინი დავაფიქრო იმაზე, თუ როგორ ჩანს მათი საქციელი უფრო მაღლიდან. ასე, ვფიქრობ, სხვისი თვალით დანახულ, საკუთარ „მე"-ს უკეთ „გაიცნობენ".

● **როგორია მეუღლის როლი შვილების აღზრდაში?**

- მუშაობის დაწყებას რომ ვფიქრობდი, მაშინ შევთანხმდით ურთიერთ ხელშეწყობაზე. ასე ვიტყვი, ერთმანეთს ვეხმარებით, რომ ვიყოთ კარგი მშობლები. მაქვს ხელშეწყობა დედამთილისგან (ნანული ხარხელი), რომელიც გვერდით მიდგას ყველგან და ყველაფერში. უდიდეს პატივისცემა და მადლიერება ჩემგან, სიცოცხლის ბოლომდე, იმ სიყვარულისთვის რასაც დღემდე გასცემს ჩვენთვის. უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენი გვერდით დგომისათვის, ასევე ჩემ მშობლებსაც, რომლებიც ყოველთვის ჩემთან არიან, როცა ვეძახი.

სამ შვილთან ერთად მუშაობის დაწყება მართლა არ არის ადვილი, რაღაც რაოდენობით მოაკლდებათ ჩემი ხელი, თუმცა ვფიქრობ, პასუხისმგებლობა უფრო გაეზრდებათ.



● **გაზეთი „ბორჯომის ტრადიციული კითხვაა. ჩვენს ქალაქზეც გკითხავ, რა მოგწონს და რას შეცვლიდი ბორჯომის რეალურ ყოველდღიურობაში?**

- მე ხაშურიდან ვარ. გულწრფელად ვიტყვი, ძალიან მომწონს, რომ ბორჯომს მრავალმხრივ ყურადღება ექცევა, შედეგიც ჩანს სხვა ქალაქთან შედარებით. მშობლიურ ქალაქზე შემტკივა გული.

ესაუბრა **იზა იანვარაშვილი**

### ისტორიის ლაბირინთებში

# წმინდა პეტრეს აკლდამის ძიებაში

**საბოლოოდ 1952 წლის იანვარში გამოქვეყნდა ტაძარში ჩატარებული სამუშაოების ოფიციალური ანგარიში, გათხრები შეუფერხებლად გრძელდებოდა 10 წელიწადს. ახლა შეიძლებოდა პასუხის გაცემა კითხვაზე, იპოვეს თუ არა წმინდა პეტრეს საფლავი.**



ადრე ვარაუდობდნენ, რომ ტაძრის სამხრეთი კედლები ეყრდნობოდა ნერონის ცირკის კედლებს. ითვლებოდა, რომ ტაძრის ნაწილი იდგა იმ ადგილზე, სადაც ნერონის დროს კლავდნენ ქრისტიანებს და სავარაუდოდ აქვე აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით წმინდა პეტრე. სინამდვილეში არქეოლოგიურმა გათხრებმა სრული საწინააღმდეგო სურათი აჩვენა. აღმოჩნდა, რომ იმპერატორ კონსტანტინეს მიერ აშენებული ბაზილიკა ნერონის ცირკის ადგილზე კი არ იყო აღმართული, არამედ უძველეს სასაფლაოზე. როდესაც არქეოლოგები ბაზილიკის იატაკის ქვეშ ჩავიდნენ, მათ შეხვდათ ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, მესამე და კიდევ მრავალი მიცვალებული. ყველა ისინი ჩამწკრივებული იყვნენ ერთ რიგში და ქმნიდნენ თავისებურ ქუჩას. ეს იყო ძველ რომში ყველაზე დიდი სასაფლაო, რაც კი არქეოლოგებს უნახავთ ზოგიერთ მავზოლეუმში. შესანიშნავად იყო შენახული როგორც მოზაიკა, ისე ფრესკები, კედლებზე შეიძლებოდა წარწერების გარჩევა, რამაც განსაკუთრებით დააინტერესა მეცნიერები. წარწერების წაკითხვით გაირკვა, რომ მავზოლეუმები ძირითადად ეკუთვნოდა წარმართებს, მხოლოდ რამდენიმე იყო ქრისტიანი, მათ მარხავდნენ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე და ეს იყო მანამდე, სანამ იმპერატორი კონსტანტინე ამ ადგილზე ტაძარსააშენებდა. **რატომ მარხავდნენ ქრისტიანები წარმართთა სასაფლაოზე მიცვალებულებს?** აი კითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გაეცა გათხრებს. ხომ არ იყო ამ ადგილზე დასაფლავებული წმინდა პეტრე, ეჭვს აძლიერებდა ის, რომ სასაფლაოს შუაში აღმოჩნდა ოთხკუთხედი ცარიელი ადგილი, რომელიც გარშემორტყმული იყო საფლავებით. სწორედ ამ ცარიელი ადგილის თავზე იყო ტაძრის ფუნდამენტი. საიდუმლო საფლავის გარშემო აღმართული იყო 2,5 მეტრი სიმაღლის და ე.წ. „წითელი კედელი", რომლის სისქე იყო 7 მეტრი.

„წითელ კედელში" აღმოჩნდა 3 ნიშა. ერთი, რომელიც მიწის ქვეშ გადიოდა, მოპირკეთებული იყო ტუფით, მეორე მოთავსებული იყო პირველის თავზე მიწის ზედაპირის დონეზე და მას ეხურა ზევიდან დიდი კირქვის ფილა. მისი ბოლო ნაწილი ღრმად შედიოდა კედელში. არქეოლოგიური სამუშაოები მაშინ დაიწყო, როცა მეორე მსოფლიო ომი გაჩაღდა, რომელიც თითქმის 6 წელს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში სამუშაოები შეუფერხებლად მიმდინარეობდა. როდესაც ომი დამთავრდა, მსოფლიომ მხოლოდ ის გაიგო, რომ სამუშაოები კვლავ გრძელდებოდა. ყველას აინტერესებდა, ეკლესიაში რა მიზნით ტარდებოდა სამუშაოები, რატომ იყო ყველაფერი ასე გასაიდუმლებული და ამ ხნის მანძილზე, რა შედეგებს მიაღწიეს არქეოლოგებმა, თავის საჯარო გამოსვლებში პაპი პიი XII ისეთ ორაზროვან განცხადებებს აკეთებდა, რომელიც არ აკმაყოფილებდა, როგორც მორწმუნე საზოგადოებას, ისე მეცნიერებს.

საბოლოოდ 1952 წლის იანვარში გამოქვეყნდა ტაძარში ჩატარებული სამუშაოების ოფიციალური ანგარიში. გათხრები შეუფერხებლად გრძელდებოდა 10 წელიწადს. ახლა შეიძლებოდა პასუხის გაცემა კითხვაზე, იპოვეს თუ არა წმინდა პეტრეს საფლავი.

ადრე ვარაუდობდნენ, რომ ტაძრის სამხრეთი კედლები ეყრდნობოდა ნერონის ცირკის კედლებს. ითვლებოდა, რომ ტაძრის ნაწილი იდგა იმ ადგილზე, სადაც ნერონის დროს კლავდნენ ქრისტიანებს და სავარაუდოდ აქვე აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით წმინდა პეტრე. სინამდვილეში გათხრებმა სრული საწინააღმდეგო სურათი აჩვენა. აღმოჩნდა, რომ იმპერატორ კონსტანტინეს მიერ აშენებული ბაზილიკა ნერონის ცირკის ადგილზე კი არ იყო აღმართული, არამედ უძველეს სასაფლაოზე, როდესაც არქეოლოგები ბაზილიკის იატაკის ქვეშ ჩავიდნენ, მათ შემოხვდათ ჯერ ერთი, შემდეგ მეორე, მესამე და მრავალი მიცვალებულის საფლავი ეყრდნობოდა მარმარილოს ბოძს. მეცნიერები თვლიან, რომ ეს აკლდამა არის წმინდა პეტრეს საფლავი. იმისათვის, რომ გამოეტანათ სათანადო დასკვნა, მეცნიერებმა გაანალიზეს მთელი რიგი ფაქტორები. რატომ ამოირჩია იმპერატორ კონსტანტინემ ტაძრის ასაშენებლად ასეთი დამრეცზედაპირიანი ფართობი, მაშინ როცა გვერდზე იყო აბსოლიტურად სწორ ზედაპირზე აშენებული ნერონის ცირკი. ამ პატარა ფართობის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დახრა შეადგენდა 11 მეტრს. იმპერატორის არქიტექტორებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდათ სამშენებლო მოედნის მოსაწყობად.

გარდა ამისა, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ტაძრის ფუნდამენტის მოსაწყობად მშენებლებს მოუწიათ გარკვეული საფლავების განადგურება, რაც ძველ რომში უდიდეს ცოდვად ითვლებოდა. ძველი კანონები კრძალავდნენ მიცვალებულთა საფლავების ხელყოფას, მხოლოდ იმპერატორს შეეძლო თავისი განსაკუთრებული უფლებით ამ სამუშაოების შესრულება.

III საუკუნეში წმინდა კიპრიანე ანათემით ემუქრებოდა ქრისტიანებს, რომლებიც თავის მიცვალებულებს წარმართთა სასაფლაოზე დამარხავდნენ. მათთვის სასაფლაოდ განკუთვნილი იყო ე.წ. ქრისტიანთა გამოქვაბულები. რატომ ცდილობდნებ „წითელი კედლის" გარშემო დაესაფლავებინათ თავიანთი მიცვალებულები, იმიტომ ხომ არა, რომ იქ წმინდა პეტრე იყო დასაფლავებული.

შემოღობილი ფართობიდან რამდენიმე მეტრში ერთ-ერთ ქრისტიანულ მავზოლეუმში აღმოჩნდა მოზაიკა, რომელიც გამოსახავდა გალილეელ მეთევზეს, რომელსაც ქრისტემ დაავალა, მის შემდგომ ყოფილიყო მწყემსი. კედელზე ბერძნული დამწერლობით გამოსახული იყო წარწერა „პეტრე".

მეცნიერებმა ქრონოლოგიურად აღადგინეს იმ დროის მოვლენები. 67 წელს ნერონის ცირკში სიკვდილით დასაჯეს და დამარხეს. დაახლოებით 80 წლიდან ქრისტიანებმა დაიწყეს საფლავის დაცვა და მას გარს შემოავლეს ე.წ. წმინდა „წითელი კედელი", მაგრამ იბადება კითხვა: **აკლდამა ნაპოვნია, მაგრამ სად წავიდა წმინდა ნაწილები?**

კათოლიციზმის ისტორიის სპეციალისტი რუისხარტი აღნიშნავს: ერთ-ერთ ნიშაში ვიპოვეთ ხანდაზმული ადამიანის ჩონჩხი. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მიცვალებულის ძვლები ერთ ადამიანს ეკუთვნის. ეს ნიშა ღრმად შედის კედელში და მოპირკეთებული იყო მარმარილოს ფილებით. მეცნიერები თვლიან, რომ სწორედ მიცვალებულის ეს ნეშტი არის წმინდა პეტრეს ნაწილები.

ამრიგად, 1939 წლის ივნისში რომის პაპმა პიი XI ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, მოენახა პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე აწუხებდა. სამუშაოების ჩატარების შემდეგ ის დარწმუნდა, რომ ცხოვრებაში შეისრულა ის, რაც მტკიცედ სწამდა და მას კითხვაზე პასუხი მანამდე ჰქონდა, ვიდრე არქეოლოგები ფაქტიურად დაადასტურებდნენ.

**ჭეშმარიტად, რწმენა ხშირად წინ უსწრებს მეცნიერებას.**

**თამაზ ჩიკვაიძე.**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზეთი „ბორჯომი" №4, 2024 წელი.**

# ზამთრის ვარსკვლავი

**წაღვერის სახლში არაერთი ღონისძიების მომსწრე და მონაწილე ვყოფილვარ. მეამაყება, რომ ბორჯომში ასე საქმის ცოდნით ფუნქციონირებს კულტურის კერა, რასაც მონდომებით, ენერგიულად უძღვება ქალბატონი დალი ქასაშვილი.**

სულ ახლახანს კულტურის სახლი მასპინძლობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის საღამოს, „winter star", (ზამთრის ვარსკვლავი). მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები, მოცეკვავე მომღერლები, ჩვენი ქვეყნის მომავალი, რომლებიც ხელმძღვანელებთან და მშობლებთან ერთად იყვნენ ჩამოსულები.

როგორც რიგითი მაყურებელი, ამ ღონისძიებას მეც ვესწრებოდი, ჩემი შვილიშვილებიც ცეკვავდნენ. ფესტივალმა მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩაიარა, რაშიც ქალბატონ **დალი ქასაშვილს** და ქორეოგრაფ **გიორგი ანთიას** დიდი დამსახურებაა.

იდეალური სისუფთავე და წესრიგი, სტუმრებისათვის განსაკუთრებული ყურადღება და თავაზიანობა იგრძნობოდა. ყველა თანამშრომელი მობილიზებული იყო დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესასრულებლად. **მანანა მურჯიკნელი, მანანა სეხნიაშვილი, ნინო ხოტენაშვილი** და სხვები თავს ევლებოდნენ სტუმრებს. **მაია ფიდანიანი** სხვა პოზიციაზეც მუშაობდა.

ფესტივალში მონაწილე გუნდები მაქსიმალურად ცდილობდნენ თავისი ნიჭი და გამოცდილება გამოემჟღავნებინათ. ღელავდნენ პედაგოგები, მშობლები, გულშემატკივრები.

ფესტივალზე გამოირჩეოდა ჩაქვის კულტურის გოგონათა მომღერალი ანსამბლი, ვაჟებმა გიტარაზე შეასრულეს მშვენიერი მუსიკა.

„ზამთრის ვარსკვლავის" პრიზიორი და იტალიის საგზური დაიმსახურა პირველ ადგილზე გასულმა გურიის - რეზო ჭანიშვილის სახელობის ანსამბლმა **„მანანურმა"**, სადაც ჩემი შვილიშვილებიც ცეკვავდნენ.

დიდი შრომისათვის მადლობა კონფერანსიეს **ფატი გელაშვილს.**

მიხარია და მეამაყება, რომ ჩვენ მუნიციპალიტეტში ასეთი სიცოცხლით, სიყვარულით, შემართებით, საქმის უზომო სიყვარულით მიმდინარეობს კულტურული მუშაობა.

დამსწრე საზოგადოება და სტუმრები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ წაღვერის კულტსახლის მაღალი ორგანიზებულობით.

ორმაგად გახარებული წამოვედი, ყოჩაღ, წაღვრელებო!

**ნანული სალაღაია,**
**ბიბლიოთეკის ღონისძიებების ორგანიზატორი.**

## ვულოცავთ!



წელიწადში ერთხელ, 26 იანვარს, წმინდა ანდრია პირველწოდებულის მრევლს შანსი გვეძლევა დაბადების დღე მივულოცოთ ჩვენს ტკბილსა და თბილ მოძღვარს - მამა გერასიმეს!

ვულოცავთ მას ამქვეყნად მოვლინების თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სულიერ მხნეობას, უფლის წყალობასა და დაფასებას! ეხაროს თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

ვუსურვებთ დიდხანს მიგველოს მისი ხელიდან „მაკურნებელი წყარო", რომელიც გზას გვიკვალავს უფლისაკენ!

ჩვენი მადლიერება და სიყვარული დეკანოზ მამა გერასიმეს!

ბორჯომის ანდრია პირველწოდებულის ტაძრის მრევლი

## ოლიმპიადაზე პირველი ადგილი დაისაკუთრა





**დავით ხარატიშვილი ბორჯომის №6 საჯარო სკოლის VIა კლასის მოსწავლეა. ცოტა ხნის წინ ის, სასკოლო ოლიმპიადა ,,განთიადის" მიერ გამოცხადებული ქართული ენისა და ლიტერატურის კონკურსის პირველი ადგილის მფლობელი გახდა. კონკურსში მონაწილეობის მიღება მოსწავლეებს პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით შეეძლოთ. მსგავსი სახის ოლიმპიადები უმნიშვნელოვანესია, რათა მოსწავლეებმა საკუთარი ცოდნის მაქსიმუმის გამოვლენა შეძლონ. ოლიმპიადის გამარჯვებულს, დავით ხარატიშვილს საკუთარი შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ:**

**კომონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ მსურველს ვინც დარეგისტრირდებოდა. პირველიდან მეექვსე კლასამდე მოსწავლეებს.**

- როდესაც ოლიმპიადაში მივიღე მონაწილეობა, შედეგები 2 კვირის მერე დაიდო. მანამდე კი ყოველდღე ვამოწმებდი გვერდს. მინდოდა მალევე გამეგო პასუხები. ღამე იყო, მეძინა. როცა დედამ ველარ მოითმინა, გამაღვიძა და სიხარულით მახარა, დედიკო, შენ გაიმარჯვე, პირველ ადგილზე გახვედიო. თავიდან ვერ მივხვდი რას მეუბნებოდა, ნახევრად მეძინა. მერე სიხარულისაგან დაძინება აღარ მინდოდა. მე პირადად წელს პირველად მივიღე მონაწილეობა ამ ოლიმპიადაში და მიხარია, რომ გამარჯვებული ვარ. როდესაც უკვე დაჯილდოებაზე ვიყავი ახალციხეში, საჩუქრად გამარჯვების დამადასტურებელ დიპლომთან ერთად გადმომცეს რედმის უკაბელო ყურსასმენები და წიგნი „დღე, როდესაც ყველა ეკრანი გამოირთო. სახალისო წიგნია, სიამოვნებით ვკითხულობ, ძალიან მომწონს. ასევე გადმომცეს მოსაწვევი ოლიმპიადაზე ,,ლიდერის ლიდერი", ძალიან ბედნიერი ვარ.

**- დავით, სკოლის საგნებიდან ყველაზე მეტად რომელი საგანი გიყვარს?**

- ყველა საგანს ერთნაირად ვსწავლობ და მიყვარს, მაგრამ გამორჩეულად მიყვარს ჩვენი საქართველო.

**- მომავალ პროფესიაზეც ხომ არ გიფიქრია?**

- ბევრ პროფესიაზე ვფიქრობ, მაგრამ ძალიან მომწონს ექიმის პროფესია, სამომავლოდ კი მგონია, რომ სტომატოლოგიას ავირჩევ.

**წარმატებებს და კიდევ უამრავ გამარჯვებას გისურვებთ.**

ნატო მელიქიძე

## ზამთრის ზღაპარი ბაკურიანის სცენაზე



**ბაკურიანის** კინოთეატრ დიდველში კიდევ ერთი დასამახსოვრებელი ღონისძიება გაიმართა, რომელიც ზამთარს და საახალწლო თემატიკას მიეძღვნა. ღონისძიება პროექტ „არტ-იმედის" ფარგლებში გაიმართა, რომლის დამფუძნებელი **ეთერ ქიმერიძე** გახლავთ, მან უკვე დაგვამახსოვრა თავი თავისი თეატრალური დადგმების თუ სამხატვრო გამოფენებით. ახლაც, ბაკურიანის, ანდეზიტის და ციხისჯვრის სკოლის მოსწავლეებმა საახალწლო ზღაპარი წარუდგინეს მაყურებელს, რომლის იდეის ავტორი, სცენარისტი და დამდგმელიც ქალბატონი ეთერი გახლდათ, სანიმუშოდ იყო შერწყმული სხვადასხვა კულტურები და ფოლკლორული გმირები. სპექტაკლი დინამიური მიმდინარეობით გამოირჩეოდა და წითელ ხაზად გასდევდა პატრიოტული მოტივი - საკუთარი ქვეყნის წარსულის, წეს-ჩვეულებების და კულტურის პატივისცემა. სპექტაკლში ასევე მონაწილეობა მიიღეს ბორჯომში არსებულმა საბალეტო სკოლამ, ცეკვის ანსამბლ „მანანურმა" და სხვებმა.

რუსუდან სხირტლაძე



გაზეთ „ბორჯომის" რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ვანო შალუტაშვილს დედის

ლეილა ცინაძე-შალუტაშვილის

გარდაცვალების გამო.

დავით აღმაშენებლის ეკლესიის წინამძღვარი მამა არჩილი მრევლთან ერთად ღრმა მწუხარებით იუწყება ჩვენი ტაძრის მგალობლის ქალბატონ

ლეილა ცინაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცადებს განსვენებულის ოჯახს.

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი ჩვენ ტბილ და საყვარელ ლეილას.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს,

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

გაზეთის დამფუძნებელია

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". თბილისი, თევდორე [illegible] №57

borjomi@inbox.ru

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

## ბაკურიანი სკი კროსის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს



10-11 თებერვალს, ბაკურიანი სკი კროსის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს.

საუკეთესო ფრისტაილერები მთელი მსოფლიოდან გამარჯვებულის ტიტულის მოსაპოვებლად ერთმანეთს დიდველზე, სკი კროსის საშეჯიბრო ტრასაზე შეეჯიბრებიან.

ჩემპიონატის მსვლელობის დროს, სპორტულ ასპარეზობასთან ერთად, გაიმართება ფესტივალი გიზგიზი, რომელიც გულშემატკივრებს, ადგილობრივებსა და კურორტის სტუმრებს მრავალფეროვან გასართობ აქტივობებს შესთავაზებს.

## ახალი პროექტი ზამთრის კურორტებზე

„გიზ-გიზი" - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი პროექტი ზამთრის კურორტებზე

სამდღიანი ფესტივალი 2-4 თებერვალს გუდაურში, 9-11 თებერვალს ბაკურიანში, 17-18 თებერვალს გოდერძიზე, ხოლო 1-3 მარტს მესტიაში ჩატარდება.

ფესტივალზე დასწრება თავისუფალია.

## მადლობა კვალიფიციური მკურნალობისათვის

**პატივცემულო რედაქტორო,** 2024 წლის საახალწლო დღესასწაულს ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალში" შევხვდი. გაგიკვირდებათ და, ჩემი კლინიკაში მოხვედრის მიზეზი გახლდათ პირადი ცხოვრების ემოციური მდგომარეობა და სტრესული სიტუაციები. კლინიკაში ხუთი დღე გავატარე და მედიცინის მუშაკების ჩვიდამი გამოჩენილი ყურადღებიანობით ნამდვილად აღფრთოვანებული ვარ. თავი სამოთხეში მეგონა. ნათელი და სუფთა პალატა, მაღალკალორიული კვება, მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება, კეთილი და თავაზიანი მოპყრობა გახდა ჩემი გამოჯანმრთელების უმთავრესი მიზეზი.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა მოვახსენო ,,ჯეოჰოსპიტალსის" ხელმძღვანელობას, ბატონ **გელა ორველაშვილს,** კლინიკის მენეჯერს **ოლიკო ბუაჩიძეს**, კარდიოლოგებს მანანა **სებისკვერაძეს** და **მაია გელბახიანს,** უფროს მედდას **ნინო მაჭარაშვილს,** სანიტრებს, კეთილშობილ ადამიანებს, რომლებმაც მარტოხელა პენსიონერს ყურადღება და მზრუნველობა არ მომაკლეს და გამოჯანმრთელებულმა დავტოვე კლინიკა.

ანა აგალარიანი,
მარტოხელა პენსიონერი.

## სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო" აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ პოზიციებზე:




პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე: https://shorturl.at/inq15

პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: https://shorturl.at/rtuN5

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: https://shorturl.at/uAGHT

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: https://shorturl.at/lnrDF

მეორადი სტრუქტურული ერთეულის რეკრეაციული სივრცეების ადმინისტრირების განყოფილების ხელმძღვანელი: https://shorturl.at/joyMZ

მეორადი სტრუქტურული ერთეულის რეკრეაციული სივრცეების ადმინისტრირების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: https://shorturl.at/dLR47

მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: https://shorturl.at/eqwAZ

განცხადება მიიღება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ.გვერდის მეშვეობით https://hr.gov.ge/ ; 2024 წლის 29 იანვრის ჩათვლით.

## ტრაგედია ბაკურიანში

**10 იანვარს ბაკურიანში, ერთ-ერთ სათხილამურო ტრასაზე, უბედური შემთხვევის შედეგად ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა. არსებული ინფორმაციით, 36 წლის ახალგაზრდა კაცი სათხილამურო ტრასაზე მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, რა დროსაც სხვა მოთხილამურეს დაეჯახა.**

შემთხვევის შედეგად დაშავებული ბაკურიანის კლინიკაში გადაიყვანეს. თვითმხილველების ცნობით, მას ქვედა კიდურები აქვს მოტეხილი.

გარდაცვლილი ახალგაზრდა **გიორგი ტუხაშვილია.** ის წარმატებული სტარტაპერი იყო. წლები კონსალტინგის მიმართულებით მუშაობდა. ეხმარებოდა კომერციულ და არაკომერციულ ორგანიზაციებს და წარმატებით აშენებდა სტარტაპ ეკო-სისტემას. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა Startup Grind Tbilisi-ის ზრდაში, რაც სტარტაპებისა და ტექნოლოგიური კომპანიებისთვის ხელშესახებ ღირებულებას ქმნის.

გიორგი 2 წლის წინ მარტივი ინვოისირებისა და ფინანსური ხელსაწყოების სტარტაპ Kernel-ის თანადამფუძნებელი გახდა. თავდაპირველად ის კომპანიის პროდუქტის გუნდს ხელმძღვანელობდა. გიორგის მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები დარჩა. გარდაცვლილი ახალგაზრდა ცნობილი ექიმისა და ფოტომემატიანის გივი ტუხაშვილის ვაჟი იყო. ტრაგიკული შემთხვევის დროს გიორგი ბაკურიანში ოჯახთან ერთად იმყოფებოდა.

## გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი"!

იმის გამო რომ დღემდე ვერ მოხერხდა მუნიციპალიტეტის მთელ რიგ სოფლებში ფოსტალიონების შერჩევა-დასაქმება, რედაქცია იძულებულია ხელმომწერებს დროებით სოფლების მაღაზიების საშუალებით მოემსახუროს.

სოფელ დვირის მოსახლეობას, ვისაც სურს გამოიწეროს გაზეთი „ბორჯომი", გთხოვთ, მიაკითხოთ ჯემალ ბიბილურის, ქალბატონების ვალია კევლიშვილის და დარეჯან ხუციშვილის მაღაზიებს;

ქვაბისხეველებმა მიაკითხეთ ქალბატონებს ვერიკო გოგოლაძეს და ბიბლიოთეკარ ქეთინო სარალიძეს, ხოლო ჭობისხევში ქალბატონ ნანა ჭანტურიას და სასურსათო მაღაზიის გამყიდველს გიორგი მეხრიშვილს.

გაზეთის ადგილამდე მიტანას უზრუნველყოფს რედაქცია.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ პრესის გამავრცელებლებთან და რედაქციაში.

ჩვენი მისამართია: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2. ტელ. 22-29-65: 599 227 929.

გაზეთ „ბორჯომის" რედაქცია